

# Capadur UniversalLasur

უნივერსალური წყალგაუმტარი ხის ლაზური.  
ძლიერი დაცვა ტენიანობისა და ულტრაიისფერი (UV) სხივებისგან.



## პროდუქტის აღწერა

### გამოყენების სფეროები

მასიური ხის კომპონენტების, რომლებიც ინარჩუნებენ (კარი და ფანჯარა) და საშუალოდ ინარჩუნებენ ზომებს (დარბაზები, ქიშკრები, და სხვ.), მათი ფერადი გაფორმებისთვის. იცავს ტენიანობისა და ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან. შესაფერისია მხოლოდ გარე გამოყენებისთვის, რადგან პროდუქტი ქმნის დამცავ აბკს ზედაპირზე - სოკოსა და წყალმცენარეებით დაბინძურების წინააღმდეგ.

შენიშვნა: დამცავ აბკს შეუძლია მხოლოდ დროებით შეაჩეროს ზედაპირზე სოკოს წარმოქმნა. ექსტრემალური დატვირთვის მქონე ზედაპირზე, შესაძლოა სოკოს ნაადრევად წარმოქმნა. პროდუქტი ვერ ებრძვის სოკოსა და წყალმცენარეების წარმოქმნის მიზეზს. დაცვის/პროდუქტის ეფექტურობის ხანგრძლივობის პროგნოზირება შეუძლებელია, რადგან ეს დიდწილად შესაბამისი ზედაპირის ბიოლოგიურ დატვირთვაზე დამოკიდებულია.

Capadur UniversalLasur-ის დატანა არ შეიძლება ხის ისეთ ელემენტებზე, რომლებიც ნიადაგთან/ მიწასთან უშუალო შეხებაში არიან. გარე კარების და ფანჯრების პროდუქტით დამუშავება, შეუზღუდავად არის შესაძლებელი. Capadur UniversalLasur-ი არის დეკორატიული საფარი - ტენიანობის და ულტრაიისფერი სხივებისგან დაცვის უნარით. მყარი ხის პანელების დაფარვამდე უმჯობესია გათვალისწინებულ იქნას BFS მონაცემთა ფურცლის მითითებები.

### თვისებები

- ყველანაირი ხის ზედაპირისთვის
- ნესტისგან ხანგრძლივი დაცვა
- ღია ფორიანი
- მაღალი დიფუზიის უნარი
- ულტრაიისფერი (UV) სხივებისგან მაღალი დაცვა
- წყალგაუმტარი "ჰიდროპერლის" ეფექტის წყალობით
- ქმნის ობისა და სოკოს საწინააღმდეგო დამცავ აბკს
- კლიმატური ზემოქმედებისადმი მაღალი მედეგობა
- არ წვეთავს დატანისას
- მარტივად დაიტანება

### მასალის შემკვრელი

ალკიდური ფისი არომატიზირებული გამხსნელების გარეშე

### შეფუთვა

**სტანდარტული:**  
375 მლ, 750 მლ, 2,5 ლ., 5 ლ.

**ColorExpress:**  
375 მლ, 750 მლ, 2,5 ლ., 5 ლ.



# ტექნიკური ინფორმაცია N. 185

ფერი

გამჭირვალე, Kalkweiß (თეთრი ცარცი), Kiefer (ფიჭვი), Eiche (მუხა), Nussbaum (თხილი), Walnuss (კაკალი), Mahagoni (მაჰაგონი), Teak (ტექტონა), Palisander (პალისანდრი), Ebenholz (აბანოზის ხე), სარემონტო ფერის ტონალობა.

ColorExpress სისტემების (Capalac mix) მეშვეობით შესაძლებელია, ასევე 3D კოლექციის სპეციალურ ფერებზე, ისევე როგორც სხვა კოლექციების მრავალ ფერზე შეფერადება. შეფერადებამდე პროდუქტის ბაზა არის გამჭირვალე.

**შენიშვნა:** ზოგიერთი ფერის გამოყენება მხოლოდ შეზღუდულად არის შესაძლებელი. ინფორმაცია ამის შესახებ ხელმისაწვდომია ColorExpress-ის სადგურებიდან. "გამჭირვალე" Capadur UniversalLasur-ი გარე სამუშაოებისას გამოიყენება მხოლოდ, როგორც საგრუნტავი - ფერადი ლაზურების დატანამდე, ზედაპირის შეწოვის უნარის გასათანაბრებლად, რადგან სხვა შემთხვევაში ულტრაიისფერი სხივებისგან დაცვა არ იქნება უზრუნველყოფილი.

სიპრიალის ხარისხი

ნახევრად პრიალა  
სიპრიალის ხარისხი დამოკიდებულია დასამუშავებელი ხის ზედაპირზე

შენახვის პირობები

შენახეთ გრილ ადგილას, დახურულ შეფუთვაში

ტექნიკური პარამეტრები

■ სიმკვრივე: დაახლ. 0.9 გ/სმ<sup>3</sup>

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია № 606-ის მიხედვით.

|   |             |             |              |              |
|---|-------------|-------------|--------------|--------------|
| ინტერიერი 1   | ინტერიერი 2 | ინტერიერი 3 | ექსტერიერი 1 | ექსტერიერი 2 |
| -   | -           | -           | +            | +            |
| (-) არ არის შესაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი |             |             |              |              |

## გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

განსაზღვრული ან შეზღუდულად განსაზღვრული ზომის ხის ელემენტები. ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, მზიდუნარიანი და თავისუფალი დამაცალკეველი ნივთიერებებისაგან. ხის ტენიანობამ უნდა შეადგინოს განსაზღვრული ზომის ელემენტებისთვის მაქსიმუმ 13% და შეზღუდულად განსაზღვრული ელემენტებისთვის მაქსიმუმ 15%. აუცილებელია ხის კონსტრუქციული დაცვის ძირითადი პრინციპების დაცვა. ისინი წარმოადგენენ შეღებილი ხის ხანგრძლივი დაცვის აუცილებელ პირობას

ზედაპირის მომზადება

**ახალი ხის ელემენტები:**  
ხის გლუვი ზედაპირები გაიშლიფოს ბოჭკოების მიმართულებით. საფუძვლიანად გაიწმინდოს და გადსუფთავდეს გამონადენი ნივთიერებებისაგან (მაგ. ხის ფისი).

**ძველი, დაუმუშავებელი ხე:**  
განაცრისფრებული, ამინდისგან გამომშრალი ხე დაიშლიფოს ჯანმრთელ, მზიდუნარიან ზედაპირამდე და საფუძვლიანად გაიწმინდოს.

**შეღებილი ხე:**  
არამზიდი დანაფარები მოცილდეს სრულად ხის ზედაპირამდე.

დატანის მეთოდები

Capadur UniversalLasur-ის დატანა ხდება მხოლოდ ფუნჯით.

დაფარვის სტრუქტურა

**დაფარვის სისტემა:**

|                                 | განსაზღვრული ზომის სტაბილური ელემენტები | შეზღუდულად განსაზღვრული ზომის სტაბილური ელემენტები | არასტაბილური ფორმის ხის ელემენტები |
|---------------------------------|---|--|------------------------------------|
| საგრუნტავი ფენა                 | 1x Capalac Holz-Imprägniergrund         | 1x Capalac Holz-Imprägniergrund                    | 1x Capalac Holz-Imprägniergrund    |
| შუალედური და დამასრულებელი ფენა | 3x Capadur UniversalLasur               | 3x Capadur UniversalLasur                          | 3x Capadur UniversalLasur          |

“გამჭირვალე” Capadur UniversalLasur-ი გარე სამუშაოებისას გამოიყენება მხოლოდ, როგორც საგრუნტავი - ფერადი ლაზურების დატანამდე, ზედაპირის შეწოვის უნარის გასათანაბრებლად, რადგან სხვა შემთხვევაში ულტრაიისფერი სხივებისგან დაცვა არ იქნება უზრუნველყოფილი.

| სპეციალური მაზერირების ტექნიკა გარე სამუშაოებისთვის:  |  |
|---|--|
| ხის ლაქებიანი ზედაპირებისთვის, ან ზედაპირებისთვის, რომლებიც აღარ ექვემდებარება ლაზურით დაფარვას | 1x Capalac Holz-Imprägniergrund  |
|   | 1-2 x Capadur UniversalLasur<br>სარემონტო ფერის ტონში, სტანდარტული ფერთა გამიდან.<br>ან:<br>1-2 x Capalac Grundierweiß<br>სარემონტო ფერის ტონში, ColorExpress-ის სისტემიდან. |
|   | 1-2 x Capadur UniversalLasur   |

ხარჯი  
გამოყენების პირობები  
შრობის დრო

ფუნჯით დატანა: დაახლ. 80-120 მლ/მ<sup>2</sup>.  
**მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:**  
მინიმალური ტემპერატურა: +5 C. ჰაერის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 80%-ს.  
20° C და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში - ზედაპირი მშრალია 10-16 საათში და საბოლოოდ მშრალი 24 საათში. ხის ზედაპირის შეწოვის უნარი გავლენას ახდენს შრობაზე და სიპრიალის ხარისხზე. ქარბი ხის შემადგენელი ნივთიერებების მქონე ხის სახეობებში (მაგ. მუხა), შრობის დრო შეიძლება გაიზარდოს.

**შენიშვნები**

რისკები / რჩევები უსაფრთხოებისთვის

მოარიდეთ ბავშვებს. საზიანოა წყლის ორგანიზმებისთვის, ხანგრძლივი ეფექტით. საშლიფი სამუშაოებისას გამოიყენეთ მტკვრის ფილტრი P2. არ შეისუნთქოთ შეფრქვევისას წარმოქმნილი "ღრუბელი". გამოიყენეთ კომბინირებული ფილტრი A2/P2. არ ჭამოთ, არ დალიოთ და არ მოწიოთ ამ პროდუქტით მუშაობისას. არ დაუშვათ პროდუქტის მოხვედრა კანალიზაციაში, წყალსატევებსა და ნიადაგში.

უტილიზაცია

შეიცავს: 4,5-დიქლორო-2-ოქტილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონი, 2-ოქტილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონი, (1,2,2,6,6-ჰენტამეთილ-4-პიპერიდილ) -მდე სებაკატი. შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.  
ევროპული რეგულაციის 528/2012 მიხედვით, ეს პროდუქტი განისაზღვრება, როგორც „დამუშავებული პროდუქტი“ (არა ბიოციდური პროდუქტი) და შეიცავს შემდეგ ბიოციდურ ნივთიერებებს: 4,5-დიქლორო-2-ოქტილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონს. (CAS No. 64359-81-5), 2-ოქტილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონი (CAS No. 26530-20-1), 3-იოდო-2-პროპინილ ბუტილკარბამატი (CAS No. 55406-53-6)

VOC  
(აქროლადი ორგანული  
შენაერთების ზღვრული  
კონცენტრაცია  
ევროკავშირის სტანდარტის  
შესაბამისად)

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას როგორც ლაქების ან საღებავის ნაშთი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც გამხმარი საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.  
პროდუქტის კატეგორია (A/E): 400გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 400 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

პროდუქტის კოდი  
Giscode

BSL40

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ Caparol-ის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია Caparol-ი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.  
დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პროდუქტის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი.